საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/272 " 8 " ნოემბერი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მოთხოვნის წარდგენაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს მიმდინარე წლის 1 ნოემბერს წერილობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლომ და მოითხოვა სასამართლოს მომიჯნავედ არსებული 3306 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (მისამართი: გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7ა, ს/კ 01.13.04.008.002) და მასზე განთავსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების სასამართლოს სარგებლობაში გადაცემის უზრუნველსაყოფად შესაბამის ორგანოებთან შუამდგომლობა. სასამართლოს განმარტებით, მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდის გამო, არსებული ფართი (სხდომის დარბაზები, სამუშაო ოთახები) ვეღარ აკმაყოფილებს სასამართლოს საჭიროებებს. ამასთან, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით აღნიშნული ქონება სახელმწიფოსგან გადაცემული აქვს სსიპ კოლეჯ „მერმისს" უზუფრუქტით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის №302 დადგენილების შესაბამისად, ზემოაღნიშნული ქონების სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, არსებობის ვადით გადაცემის მოთხოვნით მიმართოს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი